ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 56

"21" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 99 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თიემ ჯგუფისთვის" (ს/ნ. 404877825) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 99 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თიემ ჯგუფისთვის" (ს/ნ. 404877825) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის №21.1663.1855 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 99 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თიემ ჯგუფისთვის" (ს/ნ. 404877825) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 23 760 (ოცდასამი ათას შვიდას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე